საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოტეტიშვილი იათამზე ვლადიმერის ასული

კოტეტიშვილი იათამზე ვლადიმერის ასული (დ. 14. X. 1929, თბილისი), ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლ. ფაკ-ტი (1953). 1957–63 იყო დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტის მეცნიერი მუშაკი, 1972–74 – სწავლული მდივანი, 1975–77 – დაწყებითი სწავლების ლაბორ. გამგე, 1978– 2005 – პედ. ფსიქოლოგიის განყ-ბის გამგე. საქართვ. განათლების მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2001).

კ-ის სამეცნ. კვლევები მოიცავს ბავშვის ფსიქოლოგიას, სწავლების ფსიქოლოგიას, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ფსიქოლოგიას; სკოლამდელი ბავშვის მომზადებას კითხვისთვის. კ-ის სამეცნ. პუბლიკაციებსა და სახელმძღვანელოებში ასახულია დაწყებითი სწავლების სფეროში არსებული მრავალი ახალი დებულება და ემპირიული მონაცემი. მას ეკუთვნის რეპრეზენტაციული ფუნქციის განვითარების ახ. მოდელი, სკოლაში მათემატიკის სწავლების ორიგინ. კონცეფცია და სხვ.

თხზ.: პირველი კლასის მოსწავლეთა ინტელექტუალური თავისებურებები, თბ., 1984 (თანაავტ.); ექსპერიმენტული სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსი დაწყებით კლასებში, თბ., 1987.